წერილის ნომერი: **18-01221871512**
თარიღი: **06/07/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-01221753394
წერილის თარიღი:	24 ივნისი, 2022
განმცხადებელი:	ალექსანდრე ზაქარეიშვილი
განაცხადის N	AR1881946
მისამართი	ქ. თბილისი, სოფელი დიღომი, დიდი დიღომი
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.72.14.004.868
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლი; III კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	პროექტის შეთანხმება
მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები/ გრგ	დოკუმენტის №5969815 თარიღი: 06 ივნისი, 2022
არსებული შეზღუდვები	--------
ფართობ(ებ)ი:	650
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს ,,ევრო დეკორ“
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2)
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	გამწვანების პროექტი
დასკვნა: დადებითი	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია გამწვანების პროექტთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და

სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 108-ე მუხლი; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი, მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,ო“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, ,,ბ“ „გ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია.

სამსახურის პოზიცია:

გაცნობებთ, რომ გამწვანებული სივრცის მოსაწყობად, დასარგავად შემოთავაზებული **7 ძირი ნერგი** (3 ძირი იტალიური ფიჭვი, 2 ძირი წითელი ტყემალი, 2 ძირი მარადმწვანე მუხა), სრულად ითვისებს კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო მინიმალურ ფართობს (**კ3 0,3-162,5** კვ.მეტრი). გასამწვანებლად შემოთავაზებული მცენარეები შერჩეულია ქ. თბილისის კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით.

ამდენად, სამსახური თანახმაა არსებული სახით დამტკიცდეს გამწვანების პროექტი.

ინფორმაციისთვის

ნებართვის გაცემიდან 10 დღის ვადაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია მოსალოდნელი მშენებლობის საინფორმაციო დაფის გვერდით განათავსოს ზემოაღნიშნული გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტების და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია.

გაცნობებთ, რომ საინფორმაციო დაფაზე გამწვანების პროექტი ვიზუალურად უნდა გამოისახოს მაკეტის ან/და ფოტომონტაჟის სახით. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტი უნდა იყოს A2 ზომის ფორმატის შესაბამისი. საინფორმაციო დაფა უნდა შენარჩუნდეს სამშენებლო სამუშაოების წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ.

დამატებით გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოყენებული იქნება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისათვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი (21-ე მუხლის 51-ე პუნქტი).

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



დ ე ნ დ რ ო ლ ო გ ი უ რ ი გ ე გ მ ა

ქ. ჭაბლისი, სოფელი დიდომი,
დიდი დიროში

ს/კ 01.72.14.004.868

განმარტებითი ბარათი

საპროექტო ობიექტი მდებარეობს ქ. თბილისი, სოფელი დიღომი დიდი დიღომი.

საკ.კოდ. 01.72.14.004.868

დამკვეთი: შპს „ევრო დეკორ“ ID: 446980973

ტერიტორიის საერთო ფართი: 650.00კვ/მ

კ3-168.03კვ/მ

ტერიტორიაზე არ აღენიშნება არცერთი ძირი ხე-მცენარე.

საპროექტო ხე-ნარგავები:

1. იტალიური ფიჭვი-3 ძირი;

2. მუხა მარადმწვანე-2 ძირი;

3. წითელი ტყემალი-2 ძირი.

სულ: 7 ძირი.

აღნიშნული ხე-მცენარეები შერჩეულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ლანდშაფტისა და კლიმატისათვის შესაბამისი ხე-მცენარეების დამტკიცებული სიიდან.

აღნიშნული ხე-მცენარეები შერჩეულია ქ.თბილისის კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით. საპროექტო ტერიტორა გამწვაებულია შერეული ტიპის ნარგავებით, როგორც წიწვოვანი ისე ფოთლოვანით.

დენდროლოგიურ პროექტში გათვალისწინებულია უპირატესობა ხეების დარგვა ბუჩქებთან და გაზონთან მიმართებაში და მცენარეების რაოდენობაც განსაზღვრულია შემდეგი პროპორციებით: 20-25კვ/მეტრი დიდი ვარჯის მქონე წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეებისთვის.

გამწვანების პროექტი დასრულდება სამშენებლო პროექტის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში ვეგეტაციური და აგროტექნიკური პირობების გათვალისწინებით.

გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელია:

შპს „ევრო დეკორ“ ID: 446980973

გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლა იქნება სამი წელი.

ელისო ხარჩილავა



(პ/ნ 62004015900)

მწვანე მშენებლობის ინჟინერი

(AA #0039124)

22/06/2022

ა რ ს ე ბ უ ლ ი ს ი ტ უ ა ც ი უ რ ი გ ე გ მ ა



ქ. ტბილისი, სოფელი დიღომი, დიდი დიღომი

ს/კ 01.72.14.004.868

საერთო ფართობი: 650.00კვ/მ

ტერიტორიაზე არ აღნიშნება არცერთი ძირი ხე-მცენარე.




133.993 მ2
ს3- 168.03 მ2
19.341 მ2
14.951 მ2

დ ე ნ დ რ ო ლ ო გ ი უ რ ი გ ე გ მ ა



ქ. ცბილისი, სოფელი დიღომი,
დიდი დიღომი

ს/კ 01.72.14.004.868

საერთო ფართობი: 650.00კვ/მ

ექსპლიკაცია

1---Pinus pinea -----3

2---Prusus cerasifera -----2

3---Quercus ilex -----2

მ ც ე ნ ა რ ე თ ა დ ა კ ვ ა ლ ვ ი ს გ ე გ მ ა



ქ. ჭბილისი, სოფელი დიღომი,
დიდი დიღომი

ს/კ 01.72.14.004.868

საერთო ფართობი: 650.00კვ/მ

ექსპლიკაცია

1---Pinus pinea -----3

2---Prusus cerasifera -----2

3---Quercus ilex -----2

მცენარეთა ექსპლიკაცია

#	მცენარეთა დასახელება	რაოდენობა	სიმაღლე მეტრებში	ღეროს დიამეტრი	ფორმა	ხნოვანება	მახასიათებლები
1	Pinus pinea იტალიური ფიჭვი	3	3.0-5.5მდე	20სმ.დან	ხე	5-10წ	გვალვაბამძლე, სწრაფად მზარდი
2	Prusus cerasifera წითელი ტყემალი	2	3.5-5.5მდე	20სმ.დან	ხე	5-10წ	გვალვაბამძლე, სწრაფად მზარდი
3	Quercus ilex მუხა მარადმწვანე	2	3.5-5.5მდე	20სმ.დან	ხე	5-10წ	გვალვაბამძლე, საშუალოდ მზარდი

სამუშაოთა მოცულობა

#	სამუშაოთა დასახელება	განზომილება	რაოდენობა	შენიშვნა
1	გასამწვანებელი ტერიტორიის შართოზი	კვ.მეტრი	168.03	
2	გასამწვანებელი ტერიტორიის გასუფთავება და დამუშავება	კვ.მეტრი	168.03	
3	ადგილების მომზადება ხეების დასარგავად 50% ტყის მიწის შეტანით	ცალი	7	
4	ხეების დარგვა	ცალი	7	
5	ტერიტორიების მომზადება ჩვეულებრივი გაზონის მოსაწყობად, 20%ტყის მიწის შეტანით	კვ.მეტრი	168.03	
6	გაზონის მოწყობა (დათესვა ან რულონის დაგება)	კვ.მეტრი	168.03	
7	გაზონის მოვლა	კვ.მეტრი	168.03	
8	ახალ დარგულ ხე-მცენარების მოვლა	ცალი	7	
9	ახლად დარგული ხე-მცენარეების, ყვავილნარების და გაზონის მორწყვა	ყველა მცენარე და გაზონი		

საპროექტო ხე-მცენარეები



Pinus pinea



Prunus cerasifera



Quercus ilex

დენდროლოგიური პროექტის საინფორმაციო დაფა

დამკვეთი: შპს "ევრო დეკორ" **ID446980973**

საპროექტო ტერიტორია: ქ. თბილისი, სოფელი დიღომი, დიდი დიღომი ს/კ 01.72.14.004.868

ნებართვის გამცემი ორგანო: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის სააქალაქო სამსახური

გამწვანების პროექტის შეთანხმების თარიღი:

გამწვანების პროექტის დასრულების თარიღი: ნოემბერი, 2024 წელი

კ-3 168.03მ/კვ

ჩასარგავ ხე-მცენარეთა სახეობები:

1. **Pinus pinea-3**ძ
იტალიური ფიჭვი (სიმაღლე 3-5.5მ, გარშემოწერილობა 0.20სმ, ხნოვანება 5-10წ)
2. **Prunus cerasifera-2**ძ
წითელი ტყემალი (სიმაღლე 3.5-5.5მ, გარშემოწერილობა 0.20სმ, ხნოვანება 5-10წ)
3. **Quercus ilex-2**ძ
მარადმწვანე მუხა (სიმაღლე 3.5-5.5მ, გარშემოწერილობა 0.20სმ, ხნოვანება 5-10წ)

გაშენებული ხე-მცენარეებზე პასუხისმგებელი:

შპს "ევრო დეკორ" **ID446980973**



გასაშენებელი ხე-მცენარებზე მოვლის ხანგრძლივობა: 3 წელი